ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №4305459

ნომერი: AR1644872

თარიღი : 21.11.2018

გაცემის თარიღი : 14.12.2018

გაცნობის თარიღი : 03.02.2019

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მცხეთა , N 48-50 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა მარუხის გმირები , N 8;

დამკვეთი-განმცხადებელი

- აბესალომ შავგულიძე პ/ნ 01024011277
- თბილისი ალ.ყაზბეგის გამზ. N 4 ბ. 15

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- საცხოვრებელი ობიექტები
  - მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30

დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ თანახმად.

# გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2018 წლის 21 ნოემბრის AR1644872 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, მცხეთის ქ. #48-50, მარუხის გმირების ქ. #8-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: # 01.14.11.041.026) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (III ბლოკი) და საბავშვო ბაღის (IV ბლოკი) აშენების მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგნას. პასუხად გაცნობებთ შემდეგს:
საპროექტო საკადასტრო ერთეულის (საკადასტრო კოდი: #01.14.11.041.026) მიმდებარე ტერიტორიაზე ჩამოყალიბებულია დაბალი ინტენსივობის განაშენიანება. ხოლო, ჩამოყალიბებულ გარემოში სივრცით მოცულობითად განსხვავებული ობიექტის გაჩენა იწვევს არსებული გარემოს რადიკალურ ცვლილებას (იცვლება ინფრასტრუქტურული მოწყობა, განაშენიანების სივრცით-გეგმარებითი წყობა, ტერიტორიის/ზონის ფუნქციური გამოყენების ჩამოყალიბებული/დაგეგმილი ბალანსი და განაშენიანების სხვა მსგავსი მახასიათებლები). აქედან გამომდინარე, სამსახურს, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, მიზანშეწონილად არ მიაჩნია ტერიტორიაზე კიდევ ერთი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსება.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არქიტექტურის სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის თაობაზე.

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.